ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17041035, 07/04/2017 15:12:58

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს გლდანი 11
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	400015498
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	03/02/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის გლდანის რაიონში, ზარზმის ქ.,N1 ბ.22

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: paata.sokhadze.1@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01001017461, პაატა სოხაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01001017461, პაატა სოხაძე	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

13618408206219

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190080485

რეგისტრაციის თარიღი

25.01.2019 წ

ნოტარიუსი: როზა ნადირიანი
მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი ,,ა' მ/რ 50-ე კორპუსის მიმდებარედ
ტელეფონი: 591 70 66 15

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდახუთ იანვარს მე, საქართველოს ნოტარიუსს როზა ნადირიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ.თბილისი, გლდანი « ა» მ/რ 50-ე კორპუსის მიმდებარედ, მომმართა პაატა სოხაძემ. მან განაცხადა, რომ არის შპს „გლდანი 11“-ს დირექტორი (ს/ნ 400015498). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შპს „გლდანი 11“-ს დირექტორმა პაატა სოხაძემ (დაბადებული 17.07.1965წ. პირადი №01001017461, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ქუჩა ზარზმა, N 1, ბინა 22, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B17041035, ამონაწერის მომზადების თარიღი: 07/04/2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუქმოს ეს მინდობილობა. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობა, დაადასტურა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდახუთ იანვარს ამ მინდობილობით მე, შპს „გლდანი 11“-ს დირექტორი პაატა სოხაძე ვენდობი თეიმურაზ სოხაძეს (დაბადებული 07.02.1964წ. პირადი №01004005823, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ქუჩა ზარზმა, N 5, ბინა 21) იყოს წარმომადგენელი კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის გამგეობაში, მერიაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში, საქართველოში მოქმედ ნებისმიერ კომერციულ ბანკში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (პორტალში), ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიაში; სავალდებულო დაზღვევის ცენტრთან, დადოს ხელშეკრულებები და აწარმოოს მოლაპარაკებები სადაზღვევო კომპანიებთან, ასევე მოაწეროს ხელი სადაზღვევო კომპანიებთან დადებულ ხელშეკრულებებს, გახსნას ნებისმიერი ტიპის ანგარიში, მართოს და განკარგოს შპს „გლდანი 11“-ს სახელზე ნებისმიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი სახის ანგარიშ(ებ)ი, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაციები, მოახდინოს ანგარიშ(ებ)ზე თანხის შეტანა, გამოტანა და გადარიცხვა/კონვერტაცია, აწარმოოს გადარიცხვები ბიუჯეტში, აიღოს ამონაწერები; იყოს წარმომადგენელი შემოსავლების სამსახურში დეკლარაციების წარდგენის და ჩაბარების უფლებით, აგრეთვე წარადგინოს დეკლარაციები ელექტრონული ვერსიით და აიღოს შედარების აქტები; შეიტანოს განცხადებები, გადაიხადოს გადასახადები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია შპს „გლდანი 11“-ს შესახებ; მიიღოს შპს „გლდანი 11“-ს სახელზე შემოსული ნებისმიერი ტვირთი და მოახდინოს მისი გაფორმება და რეგისტრაცია; მიიღოს და გაანთავისუფლოს თანამშრომლები, დადოს ხელშეკრულებები, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებები, და მოვალეობებით, რაც გამაჩნია მე, პაატა სოხაძეს როგორც შპს „გლდანი 11“-ს დირექტორს; ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ათი წლის ვადით და ძალაშია ორიათას ოცდაცხრა წლის ოცდახუთ იანვრამდე.

მინდობილობა შედგენილია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს როზა ნადირიანის სანოტარო ბიუროში, ხოლო სამი გადაეცა მარწმუნებელს.
დანართი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სულ 13.80, მათ შორის: ნოტარიუსის საზღაური 10.0 ლარი, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2.0 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ 1.80 თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: პაატა სოხაძე

ნოტარიუსი როზა ნადირიანი

საქართველოს ბანკი

OCSC21653287

09/06/2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

თანხმობა უძრავი ნივთის მშენებლობაზე

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა, რომ სს „საქართველოს ბანკი"-ს უფლების საგანზე, კერძოდ ს/კ: 01.11.12.013.010, მდებარე ქ. თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N19, მიეცეს თანხმობა ახალი მშენებლობის - კერძოდ პანდუსის მოწყობის შესახებ. იმ პირობით, რომ სს „საქართველოს ბანკი"-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლება - იპოთეკა (იპოთეკის ხელშეკრულების N CAH000005254, დამოწმებული სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, 31/01/2013 წელს, რეგისტრაციის N 882013038049) დაფიქსირდება ახალი მშენებლობის შედეგად წარმოშობილი უძრავი ნივთის მიმართ შესაბამის ამონაწერში, ასევე ახალი მშენებლობის შედეგად წარმოშობილი ფართი არ იქნება საწყის ფართზე ნაკლები.

პატივისცემით,

სს „საქართველოს ბანკი"

წარმომადგენელი: ჯემალ კვარიანთაშვილი ----------------------------

საცალო ბიზნესის საბანკო მომსახურების ჯგუფის უფროსი

თბილისი 0160,
გაგარინის ქუჩა N29ა.
(0 32) 2 444 444
www.bog.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

80178793334217

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171217474

რეგისტრაციის თარიღი

16.10.2017 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ქ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის ან/და გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუს ირმა შარვაძეს (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #42) სს "საქართველოს ბანკის" სათაო ოფისში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა, მომმართა **მიხეილ გომართელმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არის სს "საქართველოს ბანკის" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს "საქართველოს ბანკის" ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის კახაბერ კიკნაველიძის მიერ 2016 წლის 21 ოქტომბერს, დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 161218152 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **მიხეილ გომართელმა**, მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ჯემალ კვარიანთაშვილის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მიხეილ გომართელის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მიხეილ გომართელმა (დაბადებული 31.07.1975წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01007008711, მცხოვრები: თბილისში, ავლაბრის ქ.#38, ბინა #75) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **მიხეილ გომართელმა** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე მიხეილ გომართელი (შემდგომში - მარწმუნებელი), ჯემალ კვარიანთაშვილს (პირადი ნომერი: 59001107779 (შემდგომში - რწმუნებული), განიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) სახელით:

1. ხელი მოაწეროს:
1.1. გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას(ებს)/შეთანხმებას(ებს)/გარიგებას(ებს) ულიმიტოდ.
1.2. ბანკის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასაცემ საბანკო კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის ხელშეკრულებას(ებს)/შეთანხმებას(ებს)/გარიგებას(ებს) 2.000.000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში.
1.3. მარწმუნებლის მიერ გასაცემ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ საკრედიტო, საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის დოკუმენტ(ებ)ს/ ხელშეკრულებას(ებს)/ შეთანხმებას(ებს)/გარიგებას(ებს) 2.000.000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში.
1.4. გირავნობის, იპოთეკის და თავდებობის ხელშეკრულებებს ულიმიტოდ ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ს/ხელშეკრულებას(ებს)/შეთანხმებას(ებს)/ გარიგებას(ებს).
1.5. ხელი მოაწეროს ბანკის მიერ კლიენტ-კომპანიების აუდიტორებისათვის წარსადგენ წერილებით დოკუმენტაციას.

2. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით, საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების და გაცემული დავალების შესასრულებლად.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

მიხეილ გომართელი

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე